ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 20 1883—1905 30 ოქტომბერი

უმაღლესი მანიფესტი.

შეწევნითა ღვთისათა,

ჩვენ ნიკოლოოზ მე-II

იმპერატორი და თვითმპყრობელი

სრულიად რუსეთისა,

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა,

ვუცხადებთ ყველა ჩვენ ქვეშევრდომებს:

აჯანყება და არეულობა სატახტო ქალაქებსა და ჩვენის იმპერიის მრავალ ადგილებში დიდის მწუხარებით ავსებს გულსა ჩვენსა. კეთილდღეობა რუსეთის ხელმწიფისა მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობასთან და მწუხარება ხალხისა, მწუხარებაა მეფისაცა. ამ აღელვებისაგან შეიძლება წარმოიშოს დიდი უბედურება ხალხისა და ამავე აღრეულობამ შეიძლება ბოლო მოუღოს ჩვენის სამპყრობელოს ერთიანობასა და მთლიანობას. ამიტომ მოვალეობა მეფისა მთელის თვისის გონიერებითა და ძლიერებით გვიბრძანებს ჩვენ, რაც შეიძლება, მსწრაფლ ბოლო მოვუღოთ სახელმწიფოსათვის ამ განსაცდელით აღსავსე არეულობას. უბრძანებთ სათანადო მმართველობას მიიღონ ზომები უწესოებისა, აღრეულობისა და ძალმომრეობის მოსასპობად, იმ პირთა დასაფარავად, რომელნიც თავისის მშვიდობიანის ცხოვრებით ემსახურებიან თავისის მოვალეობის აღსრულებასა. სახელმწიფოს ცხოვრების დასაწყნარებლად ჩვენ მიერ წინგანზრახულ ზომათა განსახორციელებლად უსაჭიროესად დავინახეთ გავაერთიანოთ მოქმედებანი უმაღლესს მთავრობისა. ჩვენის შეურყეველის ნების აღსასრულებლად ვავალებთ მთავრობას მიანიჭოს მკვიდრთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული თავისუფლება მოქალაქობრივი და განუმტკიცონ მათ ხელუხლებლობა პიროვნებისა, თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირისა; 2) სახელმწიფო სათათბიროს წევრთა განზრახულ არჩევანების შეუჩერებლად, სახელმწიფოს სათათბიროს დაარსებამდე ხანმოკლეობისა გამო შეძლებისამებრ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ახლავე მოწოდებულ იქმნან მკვიდრთა ის კლასებიც, რომელნიც აქამდე სრულიად მოკლებულნი იყვნენ ამომრჩეველთა უფლებებს, და შემდეგში შემუშავებულ იქმნას კანონი, რომლის ძალითაც განვითარებულ უნდა იქმნას საერთო ამომრჩევლობითი უფლებანი და 3) დამყარდეს შეურყეველი წესი იმის შესახებ, რომ არც ერთ კანონს არ მიეცეს ძალა, ვიდრე იგი დამტკიცებულ არ იქმნება სახელმწიფო სათათბიროსაგან, და რომ ხალხის ამომრჩეველნი მონაწილენი შეიქმნენ ჩვენ მიერ დაყენებულ მთავრობის მოქმედების თვალყურის დევნაში. მოუწოდებთ რუსეთის ყველა მამულიშვილთ, მოიგონონ მოვალეობანი თვისის სამშობლოს წინაშე, ხელი შეგვიწყონ წარმოუდგენელის არეულობის მოსპობაში და ჩვენთან ერთად ყოველივე იღონონ სამშობლო ქვეყანაში მშვიდობიანობისა და წესიერების დასამყარებლად.

მანიფესტი ესე გამოცემულია პეტერგოფსა შინა ოქტომბერსა 17 დღესა, ქრისტეს შობიდგან 1905 წელსა, ხოლო მეფობიდან ჩვენისა მეთერთმეტესა. დედანს ხელმწიფის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზ“

გრაფის ს. ი. ვიტტეს მოხსენება

უქვეშევრდომილესი მოხსენება სტატს-სეკრეტარის გრაფის ს. ი. ვიტტესი: „თქვენმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და მიბრძანა მომეხსენებინა თქვენთვის, რა გზასა და მიმართულებას უნდა დაადგეს მთავრობა თანამედროვე მდგომარეობისა გამო. ამიტომ უქვეშევრდომილესად მოგახსენებთ შემდეგს: ის აღრეულობა, რომელიც რუსეთის საზოგადოებას სხვადასხვა წრეებს მოედო, შედეგი არ არის სახელმწიფო და სოციალურ კერძო მოუწყობლობათა, იგი არაა შედეგი არც უკიდურეს პარტიათა ორგანიზაციებისა; ეჭვი არ არის, რომ ამ აღრეულობის ფესვები ღრმადაა დამარხული რუსეთის საზოგადოების იდეურ მიმართულებასა და მისის ცხოვრების გარეგან ფორმათა შორის არსებულ უთანასწორობაში. რუსეთს ველარ აკმაყოფილებს აწ არსებული წესწყობილება. იგი გაიზარდა. რუსეთის ცხოვრების გარეგანი ფორმები უნდა შეუსაბამდეს რუსეთის საზოგადოების კეთილ-მოაზრეთა უმრავლესობის იდეებს. უპირველესად ყოვლისა, მთავრობამ უნდა განახორციელოს ძირითადი თვისებანი უფლებრივ წყობილებისა: თავისუფლება ბეჭდვისა, სიტყვისა, სინდისისა, კრებებისა, კავშირისა და პირად ხელშეუხებლობისა. ყველა ეს დაუყოვნებლივ განხორციელებულ უნდა იქმნას, ახლავე, ვიდრე სახელმწიფო სათათბიროც დააკანონებდეს. საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრების ეს უმთავრესი მხარეები განმტკიცებულ უნდა იქმნეს ნორმალურ საკანონმდებლო გზით და ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, კანონიერის უფლებებით გათანასწორებულ უნდა იქმნას. თავის-თავად ცხადია, რომ სამოქალაქო თავისუფლების მინიჭება შემოფარგლულ უნდა იქმნას კანონიერის ზღუდით მესამე პირთა დასაფარავად და სახელმწიფოს უზრუნველყოფლობისა და წესიერების აღსადგენად. შემდეგ მთავრობამ უნდა იზრუნოს, რომ დაარსებულ იქმნას ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც შეესაბამება რუსეთის საზოგადოების უმრავლესობის პოლიტიკურ იდეას და საფუძვლიანად უზრუნველჰყოს ხალხისადმი მინიჭებული სამოქალაქო თავისუფლება. მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა უნდა მიიმართოს ხალხის საკეთილდღეოდ ქონებრივ და მოქალაქობრივ უფლებათა იმგვარ შეზღუდვით, როგორიც არსებობს კულტურულ ქვეყნებში. ორიოდე სიტყვით აქ აღნიშნული მიმართულება, რომელსაც უნდა დაადგეს მთავრობა, მოითხოვს ხანგრძლივ საკანონმდებლო მუშაობას, ნამეტნავად ბევრ დროს მოითხოვს ამ პრინციპების ხელში გატარება, და მათი განხორციელება მოხდება მაშინ, როდესაც ხალხი შეითვისებს მათ და ან შეიძენს მოქალაქობრივ გამოცდილებას. უცბად გარდაქმნა იმ ქვეყნისა, სადაც 135 მილიონი ხალხი სცხოვრობს და სადაც სულ სხვა საფუძველზე აღზრდილია ადიინისტრაცია, არც ერთ მთავრობას არ ძალუძს. ამიტომ საკმარისი არ არის, რომ მთავრობა მარტოოდენ მოქალაქობრივის თავისუფლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღუურველი გამოვიდეს; ქვეყნად წესიერების დასამყარებლად საჭიროა განუწყვეტელი ზრუნა, დაუღალვი მედგომა და თანდათანობა. ამის განსორციელებლად კი ეუცილებლად უნდა გაერთიანდეს მთავრობა და ერთ შეურყეველ აზრს დაადგეს. მინისტრებიც ერთგვარის პოლიტიკურის აზრისანი უნდა იყვნენ და მთავრობის ყველა აგენტი, დიდი თუ პატარა, ერთის იდეით უნდა იყოს გამსჭვალული. საქმის მდგომარეობა მოითხოვს, რომ მთავრობა გულწრფელად და გულახდილად მოქმედობდეს. ამიტომ მთავრობამ უნდა მიიღოს ის შეურყეველი პრინციპი, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არ ევნებაში არ უნდა ჩაერიოს და გულწრფელად ეცადოს, რომ 12 დეკემბრის ბრძანება უკლებლივ იქმნას განხორციელებული. მთავრობა უნდა ეცადოს, რომ სახელმწიფო სათათბიროს მიენიჭოს სათანადო ნდობა და პატივი და მხოლოდ მაშინ წინააღუდგეს მას, როდესაც სათათბირო მოინდომებს (რაც შეუძლებელია) რუსეთის ათასის წლობით შექმნილ სიდიადის შებილოლას. მთავრობამ სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს თქვენის უდიდებულესობისგან გამოთქმული აზრი სათათბიროს დაარსების შესახებ. სახელდობრ ის აზრი, რომ სათათბირო თანდათან და ერთობისა დაეკვრად უნდა გიფართო

ბისა და ამისათვის მკითხველს აღარ დასჭირდება განმმორება ჩვენი უკვე დაბეჭდილი სიტყვებისა.

ჩვენ არასოდეს არ გვჯერს ჩვეულებად, რომ დაეფიროთ მოკამათის ნათქვამი სიტყვები, ან განგებ დაკამახინჯოთ, როგორც ეს ჩვეულებად აქვს ზოგიერთ პირებს. საკალდებულოდ მიგვაჩნია პირველად მოკამათის სიტყვები მოვიყვანოთ შეუცვლელად და მერე გავსცეთ პასუხი. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ მკითხველმა საზოგადოებამ მოისმინოს ორივე მხრის ნაწერები და შემდეგ დასდვას თავისი მსჯელური. რა მსჯელური უნდა დაადგინოს მსჯელობა ერთი მხრის ნალაპარაკევი, თუ მეორე მხრის პასუხი არ მოუსმენია? როგორ უნდა გაარჩიოს „ივერიის“ მკითხველმა მე და გომართლის საკამათო საგანი, როდესაც ჩვენი პასუხი არ წაუკითხავსთ და ბ. გომართელი ჩვენს სიტყვებს ზოგან თავისუბურად კიდეც ამახინჯებს! გომართელს და არც სხვას არა აქვს უფლება ჩვენი სიტყვები თავისებურად გადააკეთოს და მერე აგოს პასუხი. როგორ მწერალს უნდა მოყავდეს მოწინააღმდეგის სიტყვები შეუცვლელად და შემდეგ გასცეს პასუხი. მაგრამ ზოგიერთი მოკამათისათვის ეს არ არის სასარგებლო, ვინაიდგან თავს ვერ გაიმართლებს...

ჩვენ, როგორც ჩვეულებად გვაქვს მოვიყვანთ მთლად გომართლის პასუხს და გავსცემთ პასუხს შემოკლებით, რადგან ნაწილი პასუხი მკითხველს შეუძლია წაიკითხოს მე-17 და მე-19 „მწუემლი“-ს ნომრებში.

„ერთი ქართული ანდაზაა: თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო,—ბრძანებს ბ. ი. გომართელი.—ეს ანდაზა გამახსენდა, როცა დეკ. ღამბაშიძის წერილსა ეკითხულობდი „მწუემლში“. მამა დეკანოზს არა თუ პირი, გულიც ძალიან დასწვია... ავტორი ღობე-ყორეს მოსდგამია, მოუხსნია თავი ბორბებისა და ლანძღვა-გინების დიდის გუდისათვის, რომელიც დეკანოზს გვარიანად გატეხნილი ქონია, და დინჯი პასუხის მაგიერ ამით უმასპინძლდება თავის მკითხველებს.

„აბეა თუ ისე, ამგვარ წერილს მე, დიდი ხანია, მოველოდი. ბ-ძა ი. ნაკაშიძემ ჩემი წერილის წაკლობით მე თითქმის კლერიკალობა დამწამა, სამდვდელოება გაჩუმებულიყო და ცოტა შეფიქრიანებული ჩემს თავს ვეკითხებოდი: იქნება ის ვერა ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა, და ჩემი გულის ნადები მკითხველს ცუდად გადავეცი-მეთქი. დეკ. ღამბაშიძემ კი დამარწმუნა, რომ მე სწორედ ისა ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა, და ვთქვი ისე. როგორც უნდა მეთქვა, თორემ დეკანოზს პირი არ დაეწყოდა ასე საშნილად. ამიტომ ვარწმუნებ ბ. დეკანოზს, რომ მის წერილში კიდევ მეტი ლანძღვა რომ ყოფილიყო, მე კიდევ უფრო მიამებოდა, რადგანაც ეს ლანძღვა საუკეთესო საბუთია ჩემი წერილის ღირსებისა.“

ბ. გომართელის მოყვანილი ანდაზა ისეთი გაცვეთილია და ისე უადგილოდ ნახმარია, რო გვიკვირს გომართელი როგორ კადრულობს მის ხმარებას. მოგდგეს და გაგლანძღოს კაცმა, ისეთი ბრალი მოგაწეროს, რომელიც არასოდეს, არა თუ საქმით ჩაგვდენოს, არამედ არც კი გაგვფიქროს; შენ, რომ თავი გაიმართლო და ბრალმდებელს დაუმტკიცო ბრალდების უსაფუძვლოობა და საქციელის უადგილობა, ამაზე შენ გეუბნებიან: პილპილი თუ არ კიკინია პირი რით გეწვისო! ბ. გომართელი ყველას უმტკიცებს, რომ იგი თავაზიანი კაცია და ,ვენ გვიკიცნებს, რომ ლანძღვითი სიტყვები ვიხმაროთ მის შესახებ კამათის დროს. ჩვენს პასუხში ვერსად ვერ ნახავთ ისეთ უკადრის სიტყვას ბ. გომართლის ადრესისამებრ, რომელიც აღემატებოდეს მის «დიდ ჯორის ტომარას», რომელსაც ასე ადვილად გვაწერს ჩვენი ზრდილობიანი მოკამათე ეკმიმ! დიდ, თქვენ, ბ. გომართელო, მართლა, ხშირად არ იცით შინაარსი თქვენგან დასტამბულ წერილებისა და ბოლოს გიგებთ ხოლმე, როგორც ეწლა შეგიტყვეთ ჩვენ წერილის შემდეგ რომ „ის გითქვამს რისიც თქმა გინდოდათ“!.. რაიცა შეეხება მას, რომ ი. ნაკაშიძემ ვითომც თქვენ კლერიკალობა დაგწამათ ეს, უკაცრაფელი პასუხია, აშკარა სიცრუე უნდა იყოს. თქვენ საქვეყნოთ აღიარეთ, როგორც ზოგიერთმა სუსტმა შეგირდებმა იციან ხოლმე თავის გამოსარენად, რომ არა გრაწამი არაფერი ხაზნანო და კიკის სულიერი ბუნება, და რომელ კაცს უნდა დაეწამებია თქვენთვის კლერიკალობა? არ გვჯერა ჩვენ ეს, ვიდრემდის თვით ბ. ი. ნაკაშიძე არ დამმოწმებს და არ დაასახელებს თუ რა საბუთით გწამებდათ თქვენ იგი კლერიკალობას...

შემდეგ განაგრძობს ბ. გომართელი:

«ბ. ღამბაშიძე თავის პასუხს ასე იწყებს: ბ-ნ გომართელის წერილს არავითარ ყურადღებას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაქცევდით, რომ ეს ექიმი ხალხს სასწაულმომქმედათ არ მიაჩნდეს და არ ადიდებდესო. აქედან თავისთავად ცხადია, თუ რამ აალებია კალამი ხელში მ. დეკანოზს: მას ეშინია, ხალხმა გომართელს არ დაუჯეროსო. ვაუწყებ მ. დეკანოზს, რომ მისი შიში სრულებით უსაფუძვლოა: ხალხმა კი არ დაუჯერა გომართელს, თვითონ გომართელმა დაუჯერა ხალხს,—გომართელმა მხოლოდ ის სთქვა თავის წერილში, რასაც, დიდი ხანია, ამბობს ჩვენი ხალხი. მ. ღამბაშიძეს უკვირს, რომ ხალხში ბევრი ცრუაზრი არსებობს ხშირათ ამა თუ იმ პირთა შესახებ. გასაკვირვალი კი არა, ეს სამწუხარო მოვლენაა. ამგვარი მაგალითები ცხადად ამტკიცებენ, თუ რამდენად ღატაკია ხალხი გონებით, რამდენად ცრუმორწმუნეა ის. მერე ვინ დააბნელა ხალხის გონება? ყოველ დროის მთავრობისა და სამღვდელოების უმთავრესი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ ხალხისათვის გონების კარი დაეხშოთ და დღეს კი მ. დეკანოზს უკვირს: რად არის ხალხი ცრუმორწმუნეო. დღეს თვითონ ხალხმა შეიგნო ეს და ამიტომ გადუდგა სამღვდელოებას.“

აშკარად სტყუვით, ბ. გომართელო, ვითომ თქვენ და თქვენმა მოციქულებმა კი არ დააჯერეთ ხალხი სამღვდელოების შესახებ, არამედ მათ დაგაჯერესთ და თქვენ სწერთ მას რასაც იგინი გეუბნებიან. ასე შეგიძლიათ თქვენ მოატყუოთ გულუბრყვილო გაზეთების მკითხველები და არა სამღვდელოება და ხალხი, რომელმანაც ძლიერ კარგად იცის თუ ვინ რას ეუბნება მათ სარწმუნოებაზე და სამღვდელოებაზე. ხალხმა გასწავლა თქვენ ურწმუნოება თუ თქვენ ასწავლით მათ? თუ თქვენი ნათქვამი მართალია რაღასთვის იფრინეს ზოგიერთ ადგილას თქვენი მოციქულები? დიაღ, ამ ბოლო დროს ხალხმა აღიმაღლა ხმა და თქვენს მოციქულებს და მქადაგებლებს უთხრეს, რომ ეკკლესიაზე და სარწმუნოებაზე კრინტი არ დასძრათო, თორემ თქვენს სიტყვას არც ერთს არ მოვისმენთ და არც მიგიღებთო. ზოგიერთნი კიდევ განაგრძობენ თავის ქადაგებას მიყრუებულ სოფლებში, ნათესაობის აღრევასაც ურჩევენ ხალხს! ზოგან თუ მათი ქადაგება სავსებით არ მიიღეს ემუქრებიან კიდეც. შეიძლება ეს პირები არა მკითხე მოციქულებიც იყვნენ, მაგრამ ხალხს კი უკარგავენ კარგ მქადაგებლებზედაც შეხედულებას. საჭიროა მოთავე კაცებმა ამისთანა მქადაგებელთ სასტიკი ყურადღება მიაქციონ. ბატონ გომართელს დაზმანებია, რომ სამღვდელოება ხალხის კისერზეა დასკუპებული. ეს სიზმარი ნამდვილ მოვლენად მიაჩნია და არავითარ საბუთს თქვენგან აღარ იღებს!..

ვკითხავ კაცს: დაასაბუთეთ, დაგვიმტკიცეთ, განგვიმარტეთ რით აბნელებს ხალხის გონებას სამღვდელოება, რით უსპობს ხალხს კეთილ-დღეობას? ის კაჭკაჭივით მაინც გაიძახის ერთსა და იმავეს—სახარება გადაასწორეს და ქრისტესაგან ნაქადაგები კომუნიზმი არ დაარსესო!.. ქრისტე ცოლის თხოვას უშლიდა ხალხსო და მღვდლები არ ქადაგობენ ცოლების გასაზოგადოებასაო... ამისთანა კაცთან კამათობა სწორედ წყლის ნაყვაა და ბევრს აღარ გავყვებით მისგან მოყვანილ სიტყვების უსაფუძვლობას.

აბა მოისმინეთ კიდევ, ბ. გომართლის ბრძნული მოსაზრება:

«მე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ იესო ქრისტეს მიზანი იყო, ქვეყნად დაემყარებია სამოთხე,—რასაკვირველია, ისეთი სამოთხე კი არა როგორც მ. დეკანოზსა აქვს წარმოდგენილი, არამედ სხვაგვარი. თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქვეყნად ქრისტეს სამოთხე, ამის გამოსაკვლევად საჭიროა ისტორიას მივმართოთ. რას წარმოადგენდა რომის საზოგადოება იმ დროს, როცა იესო ქრისტე დაიბადა? ერთ მხარეზე იდგნენ მდიდრები, რომლებიც ურიცხვი მონების წყალობით მეფურად ცხოვრობდნენ, გლეხ-კაცობა სრულებით გაღატაკებული იყო. აუარებელმა ომიანობამ ხალხი ეკონომიურად სრულებით დასცა, სამაგიეროდ მონათა რიცხვი გამრავლდა. მონა კიტრის ფასად გახდა. მონის ამგვარმა გამრავლებამ და სიიაფემ სოფლის გლეხის შრომასა და მეურნეობას სრულებით გამოაცალა ნიადაგი და სოფლად გლეხობა მოსპობის გზას დაადგა. გაღატაკებული გლეხობა მიაწვა ქალაქებს და რომის ქალაქები აივსო ურიცხვი ბოგანო პროლეტარიატით. ამგვარათ ურიცხვი ხალხი სიმშილით იხოცებოდა. პატარა ჯგუფი პატრიცებისა ფუფუნებაში ატარებდა თავის ცხოვრებას. აი, ამგვარ საზოგადოებრივ ატმოსფერსში დაიბადა იესო ქრისტე. უმთავრესი პრობლემა იესო ქრისტეს დროს იყო სიღატაკის პრობლემა. ვერც ერთი გონიერი და ხალხის გულ-შემატკივარი ადამიანი, ვერც ერთი მოღვაწე და მქადაგებელი ამ პრობლემას გზას ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუხვევდა. ამ პრობლემის გადაწყვეტამ იმსხვერპლა წინად გრაკების, ან პრობლემამ მიაქცია უმთავრესი ყურადღება ქრისტმაც. ქრისტის უნდოდა სიღატაკის მოსპობა, ქრისტეს უნდოდა უთანასწორობის მოსპობა, ქრისტეს უნდოდა საზოგადოების კლასებად დაყოფის გაუქმება და, რადგანაც ყოველისაე ამას სარწმუნად ედვა კერძო საკუთრება მოსახმარ ნივთებზე მოსახმარ საშუალებათა თანასწორად განაწილება, ამიტომ იესო ქრისტემ მოითხოვა მოსახმარ საშუალებათა გასაზოგადოება—კომუნიზმი. ეი ამას უწოდებ მე ამ სამოთხეს, რომლის დაარსებაც ქრისტეს უნდოდა ქვეყნად. ამგვარი კომუნიზმის განსახორციელებლად ვისთვის უნდა მიემართა იესო ქრისტეს? პირველად პროლეტარიატისთვის. პროლეტარიატს არაფერი არ გააჩნდა და ამიტომ—იგი სულთათა და გულთათ უნდა მიჰბეგზოდა და მიეგება კიდეც კომუნიზმის ქადაგებას.

ბოგანო პროლეტარიატი სრულებით მოკლებული იყო პოლიტიკურ ძალას და ქრისტე კრძალთ ხეფაად, რომ ამგვარი ღატაკები თავისი ბრძოლით ვერავითარ კომუნიზმს ვერ დამყარებენ. ამიტომ მას უნდა მიემართონ მდიდრებიც. ცხადია, ქრისტეს რომ პირდაპირ ეთქვა მდიდრებისათვის, თქვენი ქონება ღატაკებს გაუნაწილეთო, მდიდრები ეტყოდნენ, რაო ნემო, რის გულისთვისო. მაგრამ ქრისტემ თავისი მსმენელების ყურადღება მიაქცია საიქიო სამოთხეს. მას უნდოდა საიქიოს სამოთხის სურათით მდიდრები მოეხიბლა და გაეკომუნისტებინა. ამიტომ ქადაგებდა ქრისტე, მდიდარი სამოთხეში ვერ შევალ; ამიტომ ურჩევდა ის მდიდარს: თუ გინდა, რომ სრული იყო, გაყიდე შენი საცხოვრებელი და დარიბებს დაურიგეო. რადგანაც მოსახმარ ნივთიერებათა გასაზოგადოება აუცილებლად მოითხოვდა ოჯახისა და ცოლქმრობის უარყოფას, ამიტომ ქრისტე ქადაგებდა: დაუტოვეთ ოჯახი, ცოდი და ფეიმშოა.

„ვინმეორებ, თუ ხალხი მიემხრო ქრისტეს კომუნიზმს, ამიტომ რომ მაშინდელი ბოგანო პროლეტარიატისთვის ამგვარ კომუნიზმს ძალიან დიდი პრაქტიკული ნნიშვნელობა ჰქონდა: ქრისტეს ქადაგებაში ხალხი გიიტაცა ამ ქვეყნიერეა სარგებლობამ და არა საიქო სამოთხეშ. ამას გვასწავლის ისტორიის მეცნიერება; ხუცესური მეცნიერება კი, რა თქმა უნდა, სრულებით სხვას ამბობს. ქრისტეს რომ მართლა ამქვეყნიური ცხოვრების ძრიანად შეეცალა არ მოეწადინებინა პროლეტარიატის სასარგებლოდ, მდიდარნი ამ ქვეყნისანი და მთავრობა არც ამხედრდებოდნენ მის წინააღმდეგ და არც აეკვიდნენ მას ჯვარს. ქრისტეს რომ მართლა ისე ექადაგნა ხალხისათვის, როგორც შემდეგ დაამახინჯეს მისი მოძღვრება, ამ ქვეყანაზე ყოველისფერი მოითმინონეო, ყოველიფერი იოტანეო, ყველას მონა-მორჩილი იყავით და სამგიეროდ საიქოს ცხონებეთეო, მთავრობა და მდიდრები არა თუ მას ხელს არ ახლებდნენ, დიდის სიამოვნებით მიეგებებოდნენ დ ხელსაც კი შეეწყობდნენ ყოველგან აშკარა ქადაგებისათვის. დღეს კი სამოდელოება, რომელიც ღატაკ ხალხისათვის წამებულს ჯვარცმას გულზე ატარებს, ღატაკი ხალხის მეზობელთ ამოდგომიგ ვეერდით... ეს არის ქრისტეს მოძღვრების ასრულება?)

ერთხელ ერთი ხახამი ურია და მე ერთად მივდიოდით რკინის გზით. მე მინდოდა გამეგო თუ ესმოდა რამე ამ ურიას ძველი აღთქმის ისტორიიდან და ვკითხე ნოეზე, აბრაამზე, მოსეზე და სოლომონ მეფეზე. ჯერეთ გაჯიუტდა და არაფერი არა სთქვა. ბოლოს თავისით დაიწყო: „ეინ იყო ნოე? ნოე, რაჯოლის მადგა, კარგი კაეი იყო. ერთხელ ნოეს დაპატიჟა აბრაამი და მოსე, ნოეს ქარგი ღვინო მიუტანა და იმდენი დალია, რომ დაითორო". ჩვენ ყურს უგდებდით. მოყვა კიდეც და ერთად ალაპარაკა მოსე, ენუქი, იაკობი, აერონი და ენეკა ფოდელი. რა მიარბენინებს ჩვენს ექიმს რომში დ მის ბოგანო ხალხთან რა საქმე აქვს? რა და პროლეტარიატები ეგულელნა რომში, რომელთაც ერსეზზე დასკუბეპია სამღდელოება და მათ გამოსახსნელად გამოიცხადებს რომში ქრისტეს!.. ბ. გომბორთელს ისიც არ სცოდნია, რომ ქრისტე დაიბადა ბეთლეემში და რომში არასოდეს არ უქადაგებია. „მთავრობა არ აკვიდდა ჯვარზე, რომ ქრისტეს ექადაგა ამ ქვეყანაზე ყოველივე დაითმინეთ და ზეცაში მიიღებთო". არ სცოდნია, ბ. გომბორთელს, რომ იესო ქრისტეს ისე შორს იყო რომზე, რომ სრულებით არ გიუგიათ მისი ჯვარცმა რომში რაც მოცალეულ ბიდან ქადაგებით არ გიგონეს. თვითონ პილატეც მაცადინობდა გაეწთავისუფლებია ქრისტე სიკვდილისაგან, მაგრამ ბრბოს მოთხოვნილებას დაეთრ ნილი, რომელიც (ბრბო) წაქეზებული იყო ებრაელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მწყვნობრებისა და ფარისეველთაგან. არ სცოდნია გომართელს, რომ ქრისტე ყოველთვის უარს განაცხადებდა პოლიტიკურად ხალხის მართვა-გამგეობაზე.*) ამის შედეგ მოსალოდნელია ბ. გომართელის დაეჭვება: სახარება ხუცებს გადუსწორებიათო! წადით და ედგეთო ამისთანა კაცს სახარებაზე!.. იიღეთ და ჭკოიხეთ სოფლის სკოლის მოწაფეს თუ ის უკეთესად არ მოგიყვეს ქრისტეს ჯვარცმის ისტორიას. გომართელს გონებია რომ ქრისტე რომის იმპერატორმა და ბიეროკრატიამ აცვა ჯვარზე რომის პროლეტარიატებისათვის კომეწიზმის დაარსებისთვის. ვაშა თქვენს მეცნიერებას, ჩვენო სახელოვანო ეკიმო!..

„ქრისტეს მოციქულებმა და წმინდა მამებმაც სწორეთ ისე გიგიეს მასწავლებლის მოძღვრება, როგორც მე აღვნიშნე, და არა ისე, როგორც მ. ლამბროზიძემ და სამღვდელოებამ გიგიო. იიღეთ ალეკლპისისი, რომელშიაც ის ადრი გატარებული, რომ სულ მალე მოვა ქრისტე და ნერონი-ანტიქრისტეო. ქრისტე დაამარცხებს მას და ქეყნად უკედავებასა და ახალ იერუსალიმს დაამყარებსო.(!)

„მოციქულებმა დაამყარეს კომეწნისტური სოზოგადოება იერუსალიმში: ამ საზოგადოებაში არ ეყვნენ არც მდიდარი, არც ღარიბი და ყველას სიერთო ჰქონდა ყველაფერი; ყოველი წევრი ჰყიდდა თვის საკუთრებას და აღებული ფული საზოგადოების საკუთრებად შემოჰქონდა. წმინდა მამები ბასილი, გრიგორი და ოქროპირი იოანე ქადაგებდნენ ამგვარ კომეწნიზმს და ებრძოდენ სიმდიდრესა და თანასწორობას.

„ამგვარად ქრისტეს მოძღვრება არის ამქეყნეყნიერი ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა. ქრისტეს იყო მტერი კლასთა დაყოფისა, ქრისტეს იყო მტერი ეთანასწორობისა, ქრისტეს იყო მებრძოლი ბოგაჩოს პროლეტარიატის ინტერესებისათვის. დღეკვანდელი სამღვდელოება ადგია თუ არა ამ გზას? არა, და არა!»

ჩვენ ბ. გომართელის პასუხი მოვიყვანეთ ამისთვის კი არა, რომ დაუმტკიცოთ მას შემდგარი ახრი სახარებაზე და ქრისტეს მოძღვრებაზე, არა, ჩვენ მოვიყვანეთ მისი სიტყვები, რომ შეეტყობინოთ ჩვენ მეცხოველებს უსუსური და შემცდარი ახრი ბ. გომართველისა სახარების სწავლა-მოძღვრებაზე და იესო ქრისტესაგან დაარსებულ კომეწნიზზე. ვისაც ესმის სახარება და იესო ქრისტეს სწავლა-მოძღვრება, ცოტაოდენად მაინც, თვითონ მიხედება თუ რა შემცდარი ახრი ჰქონდენია შედგენილი ჩვენს გამოჩენილ ეკიმს ი. გომართელს იესო ქრისტეს სწავლა-მოძღვრებაზე. აი ამისთვის მოვიყვანეთ ჩვენ ანდაზა: უბედურება როცა ხარაზი მზარეულობას დაიწყებს და მზარეული ხარაზობას. ბ. გომართელს სწორეთ ისე ესმის სახარების ზოგიერთი ადგილები, როგორც სკაპკეს. სახარებაში სწერია: „თუ შენი ასო გაცთუნებდეს მოიკეური იგი და მოიშორე". ხომ მოგეხსენებათ ამ სიტყვის გამო რას ჩადიან სკაპკები? გომართელიც ასე თვისებურად ხსნის სახარების სწავლა-მოძღვრებას!..

ბ. გომართელი ბრძანებს, „რადგან მოსახმარ ნივთიერებათა გასაზოგადოება აუცილებელად მოითხოვდა ოჯახისა და ცოდნემრნიის უარყოფას, ამიტომ ქრისტე ქადაგებდა: «დაუტევეთ ოჯახი, ცოლი და დედ-მამაო»!.. ნიტაგ სად ამოიკითხა ესეთი სიტყვები სახარებაში ბ. გომართელმა? სად ამბობს ქრისტე, რომ კონების გასაზოგადოებისათვის დაუტევეთ დედმამა, ოჯახობა და ცოლებიო... ბ. გომართელის ახრით როგორც სხანს ყოველივე გასაზოგადებული ენდა იყოს ქალებიც და კაცებიც!.. ზოგიერთი ვატბატონების ცოლებისათვის სწორედ საკირო ღარ არის ამისთანა „გასაზოგადოებაზე" ქადაგება!?.

სტყუვდებით, ბ. გომართელო, თუ იმას ფიქრობთ, რომ ისე უკუღმართად გაეგოსთ ქრისტეს ქადაგება მოციქულებს ტ წმინდა მამანებს, როგორც თქვენ გაგიგიათ და გესმით! განა მოციქულები და წმიდა მამანები თქვენსავით ქადაგებდენ ღარიბებმა შეღლებულთ წაართვით მათი ქონება და მოიხმარეთო? ამნაირ კომეწნიზმს ქადაგებდა ქრისტე?..

რი წიგნია, ბ. ეკიმო, ამოკალპისისი? ვისი დაწერილია იგი და რიდის? თქვენ, ვგონებ, გინდათ რაღე სთქვათ იოანნენ ღვთის-მეტყველის გამოცხადებაზე, რომელიც იწოდება ამოკალპისისად კი არა, არამედ ამოკალიპსისად. სცდება ბ. გომართელი თუ ი. მახარებლის განცხადება, წინასწარმეტყველობა მომავალი დროისათვის, ქრისტეს ქეყნად მყოფობის დროს აღსრულებლად მიანნია. ბ. გომართელს

*) ამის დასმენელებად ჩვენ გვაქვნია «მწყემსს»-ში სტატეები, რომლებითაც მკითხველს ეხსოვნ დაუმტკიცებთ, რომ ქრისტე ეფელოვის უარს ეოფდა ხალხის ხმოვნას! რიგ ანინი შეიმდგომებენ მის გაშეფეფას და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭონია, რომ იოანნეს გამოცხადება ქრისტეს და მოციქულების წინეთ იყო დაწერილი და ახალი იერუსალიმი მოციქულებმა ქრისტეს ქალდგენი კიდეც დარსხეთ!!! სცდებით, ბ. ი. გომართელო! სახარების აღხსნა და განმარტება და თქვენი ალეკალიხსნა-ს განმარტება ისე საადგილო რადა, როგორც საადგილოდ მიგიჩნია მუშუკების გაკვეთა და გამორწყვა. სამღერთო წერილების შესწავლა და ღვთის მეტყველების საგნების ცოდნა ისე საადგილო არ გახლავსთ, როგორც უბრალო რეცეპტების წერა... ვერასოდეს ვერ შეედრებით ვრაფ ლ. ნ. ტოლსტოის მწერლობაში, მაგრამ ხომ იცით ესეთი ნიჭიერი სწავლული კაცი ისე დაიბნა და ისე შეცდა ხოლმე საღვთისმეტყველო საგნებში, როგორც სასულიერო სასწავლებლის მდაბალი ელასის შაგირდი. გარწმუნებთ პატიოსანი სიტყვით, რომ მე მრცხვენია თქვენმაგიერად თქვენნან წარმოთქმული ახრებისათვის ქრისტეს სწავლა-მოძღვრების შესახებ და ამოკალიპსის ახსნა-განმარტებისათვის. თქვენ შეგიძლიათ შესცდეთ ისე, როგორც სკაპლები და სხვა მწვალებლები სცდებიან, მაგრამ თქვენნი თანამოაზრეობა მოციქულებთან და წმიდა მამანებთან მეტისმეტად ახირებული და სასაცინოა. ბ. გომართელის ახრით, ახალი იერუსალიმი თუმრე კიდეც დაარსებული და ანტიქრისტეს ნერონი ყოფილა! ვაშა, ი. გომართველო, თქვენს მეცნიერებას საღმრთო წერილის მშვენიერი განმარტებისათვის!..

„მ. ღამმაშიძე, ბრძანება ექმი გომართელი, მთხოვს ყოველივე ეს განგვიმარტე, თორემ სამედიატორო სამართალში გიგიწვევთო. რადგანაც ყველა ამ კითხვებზე თავისუფლად წერა შეუძლებელია, ამიტომ მე სიამოვნებით ეთანხმები სამედიატორო სასამართლოზე. ჩემის მხრით, ვასახელებ ბ.ბ. ლადო მესხიშვილს, სერგო რობაქიძეს, იასონ ნიკოლაიშვილს და სიმონ ქვარიანს. ამ პირებში, რამდენიც და ვინც ნებავს, ჩემის მხრით ისინი დაასახელოს მ. ღამმაშიძემ და თავის მხრით იმდენივე აარჩიოს თვითონ, ვინც უნდა, მე წინდაწინვე თანახმა ვარ. მხოლოდ მისი მხრით მე არ ვღებულობ არც ერთ სასულიერო პირს, ან სასულიერო დაწესებულებაში მოსაამსახურეს, როგორც დაინტერესებულ მხრეს. მედიატორებმა უნდა განიხილონ ყველა ის მუხლები, რომლებშიაც მე ვამტკიცებ სამოდელოებას“.

საჭირო იყო ბ. გომართველისგან; რომ მისგან აღარ ეული მედიატორების წევრები სრული აღარსებით დაესახელებია. ლადო მესხიშვილი, სერგო რობაქიძე და იასონ ნიკოლაიშვილი, ვინ არიან, არ ვიცი. ამ სახელით რამდენნმე პირები არიან და არ ვიცით ვინ ვიგულისხმოთ? სიმონ ქვარიანს ვიცნობთ აგრონომიის ნაწილზე აქვს მიღებული საშუალო სწავლა, რობაქიძე და ნიკოლაიშვილი, ამბობენ, სამოსწავლებო სემინარიის კურსი აქვთ გათავებულიო და ლადო მესხი, ზოგი ამბობს მესხი არა-სო, არ ვიცი სად აქვს სწავლა მიღებული. ამას იმიტომ მოგახსენებთ, ბ. გომართველო, რომ ჩვენგან დანიშნულნი მედიატორები უნდა იყვნენ ფილოსოფიის და ღვთისმეტყველების დოკტორის ხარისხისა თუ არა, უთუოდ მაღისტრი ან კანდიდატები მაინც უნდა იყვნენ, მაღალი სწავლის მიმღებნი და არა ვიღაცა სოფლის მასწავლებელნი და საშუალო და ისიც სამასწავლებლო სასწავლებელში სწავალა დამთავრებულნი. თუ საკმაოდ მოგიჩნიათ თქვენ მედიატორებისაგან გამოთქმა მხოლოდ იმისა, რომ იგენი თქვენი თანახმა არიან ყოველივეში მაშინ მოტუტუბული ბრძანდებით. მედიატორებს უნდა ესმოდეს ფილოსოფიის და საღვთისმეტყველო საგნები, უნდა ესმოდეთ ზედმიწევნით სახარების სწავალა-მოძღვრება და ჩვენი ეკკლესიის დოკტატები უნდა კარგად ჰქონდეთ შესწავლილი; აგრეთვე უნდა იცოდნენ მდგელის მოვალეობა ხალხთა და ღვთის წინაშე. ესენი გვიბრძანეთ, რომელმა იცის ეს საგნები თქვენგან დასახელებულ პირთაგანმა! ლადო მესხმა თეატრის წარმოდგენის საქმე, ბ. ს. ქვარიანმა ენციანების დამყნისა და ორმა დანარჩენებმა სწავლება, საგნების გადაცემა მოსწავლეთათვის, შესაძლებელია ზედმიწევნით იცოდნენ, მაგრამ იმ კითხვების ახსნის და განმარტებისა, რომელნიც აღძრულნი არიან მე და თქვენ საკამათო საგნების გამო, იმდენი იცან რამდენთაც თქვენ გესმისთ ჩინური და არაბული ენები. მიკვირს, რომ ამისთანა სერიოზულ კითხვების განსამარტებლად თქვენ არ დანიშნეთ არც ერთი მაღალი სწავლის მიმღები. მაგრამ მე არა მაქვს უფლება დავიფიქრო და არ მიეღო ნორმალურ და სოფლის სკოლაში კარს დამთავრებულებიც-კი. ჩვენ მხოლდ ერთი რამე გვაკვირვებს, რომ [illegible] უფლებინ და რა საფუძელი არ გვაძლევთ ნებას [illegible] გომართველო, რომ სასულიერო პირი, ან ოდ[illegible] სასულიერ[illegible] რა წოდებაში მოსაამსახურე ერის კაც[illegible] რ დანიშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოთ მედიატორის წყენათ? ბ. გომართელს არ სურს მაღალი სწავლის მიმღებნი დაინშნონ მედიატორებად და არც ვვაძლევს უფლებას, რომ აღვირჩინოთ მედიატორის წყვრად მღვდელი ან ერის კაცი, თუ ოდესმე სასულიერო უწყებაში მსახურებდა. ბ. გომართლისაგან ეარის განცხადება, რომ ის არ მიღებს არც ერთ მღვდელს და არც ერთ ერის კაცს, თუ ოდესმე სასულიერო წოდებაში უსახურია, პირდაპირი ეარის განცხადებაა მისგან მედიატორის საბრთალზე. შემცდარი ბრძანდება გომართელი თუ იმას ფიქრობს, რომ კარიკატაქებენ და რობაქიძეები უკერო კარგად განმარტებენ ჩვენს საკამათო კითხვებს ვინემ მაღალი სწავლის მიმღებნი. უსაფუძვლოა გომართელის აზრი, რომ ჩვენ საკამათო კითხვებს პიროვნული ხასიათი ჰქონდეს...

„როცა მ. ლომპაშიძემ გიიგო, რომ ძე საიკაო არა მწყმს, თავმომწონედ მიპასუხა: სთქვა ეგზურუმა გულსა თვისსა არა არს ღმერთია. ალბად -ს მას დიდ საბუთად მიაჩნია. მე კი ვაუწყებ მ. დეკანოზს, რომ ეს საბუთი კი არ არის, გულის მოფხანაა, როგორც ყოველივე გინება, და ზეიძლება ეს სიტყვები მის წინაადმდეგაც გადავაბრუნოთ... მე არა ზწყმს, მერე თქვენ რა კუში გეწვით? ვისაც სწამს, დეე სწამდეს. ხალო როდესაც მ. დეკანოზი ამტკიცებს, გომართელი ასე ეპარაკობს, თორემ საქმით კი ყველაფერი სწამსო, და ამის საბუთად ჩემი ბავშვის დამარხვის ასახელებს ეკკლესიის გალავანში, ეს კი სოლაკინი ლოღიკაა. ჩემი ბავშვი მე თუ ცოცხალი მიყვარდა, ჩკვარი კიდეე უფრო მიეკარს და, მე თუ მინდოდა, რომ მისი სიფლავი ახლოს ქმნოდა, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მე ფარისეველი ვიყო, ან მორწმუნე კაცი."

ფარისეველია ის კაცი, რომელიც სიტყვით ამბობს და საქმით არ ასრულებს. თქვენი ურწმუნოებით კუში არავის ეწვის, დამშვიდდით. ბ. გომართელს, რომ პირდაპირ ჩვენი სიტყვები მოეყვანა ბაშნი ყველა დაინახავდა, რომ არავითარი ულოღიკობა არ ყოფილა ჩვენს სიტყვებში. ბ. გომართელმა სთქვა, რომ მას საზენაო არა სწამსრა და ამით ყველა ეკკლესიური წესები ამაო მორწმუნეობად მიიჩნია. ჩვენ ურჩვედით მას, რომ მტკიცედ უნდა ასრულებდეს იგი თავის სიტყვას. ვინაიდგან საზენაო არა გწამთ-რა რაღათ აწუხებ მღვდლებს ამ „ამაო მორწმუნოობის" აღსასრულებლად? რაღათ აწუხებთ სასულიერო და საერო მთავრობას თხოვნებით, რომ ეკკლესიაში, ან ეკკლესიის გალავანში დაგამარხვინონ გარდაცვალებული ბავშვი? რას უნდა გამოელოდეთ ეკკლესიის გალავნიდან? ბ. გომართელი, ინ როგორ მართლულობს თავს. მე ჩემი შვილი მკვდარიც მიყვარსო (სხვებს თურმე ყველას სძულებია!) და მინდოდა ახლოს ყოფილიყო მისი სიფლავეო. განა ექიმმა გომართელს არ შეეძლო უფრო ახლოს ყოლებოდა გარდაცვალებული?.. სახლში რომ შეენახა ვინ რას ეტყოდა? განა გომართელი ყოველთვის ახლოს იქნებოდა მთავარ-ანგელზის ეკკლესიაზედ? აი, თქვენს სიტყვებში არ არის არავითარი ლოღიკა...

